უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევა

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი ტურიზმის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	დავითი ჟორჟოლიანი ირაკლი ჯიმშიტაშვილი
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი ტურიზმის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	dzhorzholiani@geostat.ge ijimshitashvili@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (601) +995 32 236 72 10 (646)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 30 აპრილი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 30 აპრილი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 30 აპრილი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა
3.1. მონაცემების აღწერა
უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევის მიზანია 15 წლის ან უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების, მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების, ვიზიტების დროს გაწეული ხარჯების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ სანდო და მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემების მიღება.
3.2. კლასიფიკაციის სისტემა
არ გამოიყენება.
3.3. სექტორის მოცვა
უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევა მოიცავს საქართველოში შემოსულ არარეზიდენტ ვიზიტორებს. ქვეყნის 8 სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე (5 სახმელეთო და 3 საჰაერო) ვიზიტორების გამოკითხვა ხდება საქართველოს ტერიტორიის დატოვების მომენტში. რესპონდენტების გამოკითხვა ხდება შემთხვევითად (გამოიკითხება პირველი შერჩეული რესპონდენტის შემდეგ ყოველი მეხუთე ვიზიტორი). პირველ, მეორე და მეოთხე კვარტალებში ყოველთვიურად ხდება 900 რესპონდენტის გამოკითხვა, ხოლო მესამე კვარტალში ყოველთვიურად გამოიკითხება 1 300 რესპონდენტი.
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები
მოგზაური – ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით; **ვიზიტორი** – 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა დასაქმების მიზნით ჩამოსული პირების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრების, შეიარაღებული ძალების წევრების ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირების, აგრეთვე პირების, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს); **ტურისტი** – ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე; **ექსკურსანტი** – ვიზიტორი, რომელსაც ღამე არ გაუთევია საქართველოს ტერიტორიაზე; **ვიზიტი** – ვიზიტორის გადაადგილება.
3.5. სტატისტიკური ერთეული
ვიზიტორი, ვიზიტი.
3.6. სტატისტიკური პოპულაცია

გენერალური ერთობლიობა, საიდანაც ხდება შერჩევა, მოიცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღრიცხულ საზღვრის კვეთის მონაცემებს გამშვები პუნქტებისა და მოქალაქეობის მიხედვით (რეზიდენტობის მიხედვით განაწილება არ არის ხელმისაწვდომი).
3.7. საანგარიშო არეალი
გამოკვლევა მოიცავს საქართველოს 8 სასაზღვრო-გამშვებ პუნქტს, რომლებიც დადგინდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით (ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გარდა).
3.8. დროის მოცვა
მონაცემები ხელმისაწვდომია 2014 წლის მესამე კვარტალიდან.
3.9. საბაზო პერიოდი
-

4. ზომის ერთეული
ათასი კაცი, ათასი ვიზიტი, ათასი ვიზიტორი, ღამე, ლარი, მილიონი ლარი.

5. საანგარიშო პერიოდი
კვარტალი, წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
თბილისის მერია (მემორანდუმის საფუძველზე).

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. • კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება

კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

კვარტალური, წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს–რელიზები

გამოკვლევის შედეგებს თან ერთვის პრეს-რელიზი:
https://www.geostat.ge/ka/relationsOfCategory/100/post

10.2. პუბლიკაციები

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული:
https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

მონაცემები განთავსებულია ტურიზმის სტატისტიკის პორტალზე:
https://tourism.geostat.ge/

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

მიკრომონაცემები ხელმისაწვდომია „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად:
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf

10.5. სხვა

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონის თანახმად, სტატისტიკური მონაცემები საჯაროა და საქსტატი უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მიწოდებას ყველა მომხმარებლისათვის მათი ელექტრონული თუ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/13394/SeriesM_83rev1e.pdf https://www.geostat.ge/media/13395/KS-GQ-14-013-EN-N.pdf
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მკვლევარები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
გამოქვეყნებული მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევა ეფუძნება შერჩევით მეთოდს. ჩვეულებრივ, ამ პროცესს თან ახლავს სტატისტიკური გადახრის (ცდომილების) არსებობა. შესაბამისად, გამოკვლევის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შერჩევის სტანდარტული გადახრა.
13.2. შერჩევითი ცდომილება

უცხოელ ვიზიტორთა გამოკვლევის შერჩევის ზომაა 12 000 კითხვარი. I, II და IV კვარტალებში ყოველთვიურად ივსება 900 კითხვარი, ხოლო III კვარტალში – 1 300 კითხვარი.
ცხრილში წარმოდგენილია მაჩვენებლების სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი, ვარიაციის კოეფიციენტი და დიზაინ ეფექტი:

	სტანდარტული ცდომილება	95% ნდობის ინტერვალი		ვარიაციის კოეფიციენტი, %	დიზაინ ეფექტი
		ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი		
ვიზიტისას გაწეული საშუალო ხარჯი, ლარი	46	1 092	1 272	3.9	1.35
ქ. თბილისში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა	0.8%	49.2%	52.1%	1.6	1.00
აჭარის ა/რ-ში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა	0.7%	39.7%	42.3%	1.7	0.74
მცხეთა-მთიანეთში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა	0.6%	15.2%	17.5%	3.6	0.99
ვიზიტის მიზანი – დასვენება, გართობა, რეკრეაცია	0.8%	51.3%	54.3%	1.4	0.86
ვიზიტის მიზანი – მეგობრების და ნათესავების მონახულება	0.7%	14.9%	17.6%	4.1	1.27
ვიზიტის მიზანი – ტრანზიტი	0.6%	14.4%	16.7%	3.8	1.01

13.3. არაშერჩევითი ცდომილება

არაშერჩევითი ცდომილება შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუპასუხებლობით – რესპონდენტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდებაზე უარით ან არასრულად მოწოდებით და სხვა მიზეზებით.

14. დროულობა და პუნქტუალურობა

14.1. დროულობა

კვარტალური მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) დასრულებიდან 30-ე დღეს.

14.2. პუნქტუალურობა

მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა

15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული

საქართველოს ყველა რეგიონისთვის (სასაზღვრო-გამშვები პუნქტისთვის) გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.

15.2. შესადარისობა – დროში

დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.

15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის

მონაცემები თანამიმდევრულია.

15.4. თანამიმდევრულობა – შიდა

მონაცემები თანამიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა

- ინტერვიუერების რაოდენობა შეადგენს ხელშეკრულებით დასაქმებულ 22 თანამშრომელს 8 სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე;
- მონაცემთა ბაზის გაწმენდით დაკავებულია ტურიზმის სტატისტიკის სამმართველოს 5 თანამშრომელი;
- 2018 წლამდე ყოველთვიური შერჩევის ზომა შეადგენდა 1 000 რესპონდენტს, კვარტალში – 3 000 რესპონდენტს; 2018 წლიდან I, II და IV კვარტალებში ყოველთვიურად გამოიკითხება 900 რესპონდენტი (კვარტალში 2 700 რესპონდენტი), ხოლო III კვარტალში – 1 300 რესპონდენტი (კვარტალში 3900 რესპონდენტი);

- ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 5-6 წთ;
- 2018 წლის მესამე კვარტალიდან გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება ხორციელდება ელექტრონულად პლანშეტების საშუალებით, CAPI მეთოდის გამოყენებით.

17. მონაცემთა გადასინჯვა

17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა

მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

უცხოელ ვიზიტორთა შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც ტარდება 2014 წლის მესამე კვარტალიდან.
შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს შსს-ს მიერ აღრიცხული საზღვრის კვეთების განაწილება გამშვები პუნქტებისა და მოქალაქეობის მიხედვით (რეზიდენტობის მიხედვით განაწილება არ არის ხელმისაწვდომი). გამოკვლევა ტარდება საქართველოს 8 სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, რომელთაგან 5 სახმელეთოა, ხოლო 3 საჰაერო (გამოსაკითხი რესპონდენტების სიმცირის გამო მთლიანად ამოღებულ იქნა სარკინიგზო და საზღვაო სასაზღვრო-გამშვები პუნქტები). სახმელეთო შერჩევის დროს, მას შემდეგ რაც შერჩევის სპეციალისტი განსაზღვრავს თითოეულ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე შესავსები კითხვარების რაოდენობას, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით ხდება როგორც სამუშაო დღეების, ისე თითოეულ სამუშაო დღეს ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობის შერჩევა. რაც შეეხება საჰაერო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს, ხდება მიმართულებების მიხედვით შესავსები კითხვარების პროცენტული წილის გამოთვლა და ამის შემდეგ, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით, ირჩევა თითოეულ რეისზე ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობა (თითოეული ინტერვიუერისათვის სამუშაო დღეს შესავსები კითხვარების რაოდენობა არ აღემატება რვას და თითოეულ რეისზე არ ხდება ოთხზე მეტი ინტერვიუს ჩატარება).

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

ყოველთვიური.

18.3. მონაცემთა შეგროვება

ინტერვიუერები გამოკითხავენ რესპონდენტებს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას და ავსებენ უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკური გამოკვლევის ელექტრონულ კითხვარს პლანშეტში. კითხვარის საბეჭდი ვერსია იხილეთ ბმულზე:
https://www.geostat.ge/media/60549/უცხოელი-ვიზიტორების-სტატისტიკური-გამოკვლევის-კითხვარი.pdf

18.4. მონაცემთა კონტროლი

საველე სამუშაოების მიმდინარეობისას, განრიგით განსაზღვრული ყოველი სამუშაო დღის შემდეგ, ინტერვიუერი შევსებული კითხვარების გადმოსაგზავნად სპეციალურ პროგრამაში აკეთებს სინქრონიზაციას, რის შემდეგაც ელექტრონულად შევსებული კითხვარები აისახება CAPI-ის ვებგვერდზე. მიღებული ელექტრონული კითხვარების აღრიცხვა და პირველადი ხარისხის კონტროლი ხორციელდება ტურიზმის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ კითხვარში აღმოჩნდა შეცდომა, კითხვარი უბრუნდება ინტერვიუერს გასასწორებლად.
საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ ხდება მონაცემთა ბაზის რედაქტირება MS Access პროგრამის მეშვეობით. ტურიზმის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლები ახორციელებენ მონაცემთა ბაზის სრულ გაწმენდას. შეუსაბამო და ამოვარდნილი მონაცემების იდენტიფიცირება ხდება სხვადასხვანაირად:

- **პროგრამულად** – სპეციალურად შექმნილი ბრძანებები ადგენს იმ კითხვარებს, რომლებშიც ლოგიკური/ არითმეტიკული შეუსაბამობებია. შეუსაბამო, არასწორი ან/და საეჭვო მონაცემის გამოვლენის შემდეგ, სამმართველოს თანამშრომლები შეცდომებს ასწორებენ პირდაპირ ლოგიკურად, ინტერვიუერთან ტელეფონით დაკავშირების გზით ან იმპუტაციის მეთოდით;
- **მექანიკურად** – მონაცემთა ბაზის პროგრამულად გასწორების შედეგად მიიღება ბაზა, რომელიც თავისუფალია შეუსაბამობებისგან თითოეულ კითხვარში. ამის შემდეგ მექანიკურად ხორციელდება მონაცემთა ბაზაში ამოვარდნილი, არატიპური, საეჭვო მონაცემების გამოვლენა, გადამოწმება და გასწორება.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

კვარტალის მონაცემთა ბაზის გაწმენდის დასრულების შემდეგ, ხდება აგრეგირებული მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემების შეწონვა. შედეგების გაანგარიშება ხორციელდება MS Access-ის, MS Excel-ის და SPSS-ის გამოყენებით.
18.6. მოსწორება
არ გამოიყენება.

19. კომენტარი
-